ისრაელის ორაზროვანი ბირთვული პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორები და მისი გავლენა ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესზე

ხატია გოგებაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2020

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ხატია გოგებაშვილი, 13.07.2020

აბსტრაქტი

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობას, უკვე ნახევარი საუკუნეა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო უსაფრთხოების დღის წესრიგში. იზრდება საერთაშორისო მხარდაჭერა ბირთული იარაღისგან თავისუფალი ზონების შექმნასთან დაკავშირებით. ამ ფონზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ სახელმწიფოების ფარული ბირთვული საქმიანობის შესწავლას, რომლებსაც ოფიციალურად ბირთვული ქვეყნის სტატუსი არ გააჩნიათ. მეორე თაობის ბირთვულ სახელმწიფოებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ისრაელს, რომლის ბირთვული პოლიტიკა ერთ-ერთი ყველაზე საკამათოა - ისრაელი ოფიციალურად არც აღიარებს, არც უარყოფს ბირთული იარაღის ფლობის ფაქტს და აცხადებს, რომ ისრაელი არ იქნება პირველი სახელმწიფო, რომელიც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ბირთვულ იარაღს ,,შეიტანს". მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოებისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების მხრიდან მუდმივი ზეწოლისა, ისრაელი უარს აცხადებს შეუერთდეს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას.

ნაშრომი მიზნად ისახავს, პოტენციური საერთაშორისო თუ ადგილობრივი ფაქტორების შესწავლის საფუძველზე, გამოავლინოს ის ძირითადი ფაქტორები, რომელთაც გადამწყვეტი გავლენა იქონიეს ისრაელის ბირთვული პოლიტიკის შემუშავებასა და შენარჩუნებაზე, ასევე, განსაზღვროს თუ რა გავლენა იქონია ისრაელის ბირთვულმა პოლიტიკამ ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესზე.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ: პროცესის მიდევნება, დისკურს ანალიზი, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ. კვლევა აჩვენებს, რომ რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევებმა და აშშ-სთან თანამშრომლობამ გადამწყვეტი გავლენა იქონიეს ისრაელის ბირთვული პოლიტიკის შემუშავებასა და მის შემდგომ შენარჩუნებაზე. ასევე, კვლევის

შედეგად გამოვლინდა, რომ ორაზროვანმა სტრატეგიამ მასტაბილირებელი გავლენა იქონია ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესზე.

კვლევა ხელს უწყობს პოტენციური ბირთვული სახელმწიფოების გადაწყვეტილებების უკეთ გააზრებას კონკრეტული ბირთვული სტრატეგიის არჩევის თვალსაზრისით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ორაზროვანი ბირთვული პოლიტიკა, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონული უსაფრთხოება, უსაფრთხოების დილემა

Abstract

Non-proliferation of nuclear weapons has been on the agenda of international security for already half a century. There is growing international support for the creation of nuclear-free zones. Considering this, special attention is paid to the study of the covert nuclear activities of states that do not officially have the status of a nuclear state. Among the second-generation nuclear states, Israel has a special place, the nuclear policy of which is one of the most controversial - Israel neither officially confirms nor denies the possession of nuclear weapons and states that Israel will not be the first country to introduce nuclear weapons in the Middle East. Despite constant pressure from the international community and especially from the Middle Eastern countries, Israel refuses to accede to the Treaty on Non-Proliferation of Nuclear Weapons (NPT).

Based on a study of potential international or domestic factors, the paper aims to identify key factors that have had a major impact on the development as well as maintenance of Israel's nuclear policy. It also aims to determine what kind of impact Israel’s nuclear policy has had on the Middle East peace process.

The paper uses qualitative method of research, in particular, process tracing, discourse analysis and semi-structured interview. The research shows that the regional security challenges and cooperation with the United States, have had a decisive influence on the development and further maintenance of Israel's nuclear policy. Also, the study found that the ambiguous strategy had a stabilizing effect on the Middle East peace process.

The paper contributes to better understanding the choices of potential nuclear states in terms of choosing specific nuclear strategy.

Keywords: Nuclear Ambiguity, Non-Proliferation of Nuclear Weapons, Regional Security, Security Dilemma

მადლობა

დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც პირდაპირ თუ ირიბად თავისი წვლილი შეიტანა წინამდებარე კვლევის განხორციელებაში. მადლობა თითოეულ რესპოდენტს, რომელიც ინტერვიუზე დამთანხმდა და სრულყოფილად გამიზიარა საკუთარი მოსაზრებები საკვლევ საკითხთან მიმართებაში. მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნინო ფავლენიშვილს, რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის კვლევის დიზაინის მხრივ.

განსაკუთრებული მადლობა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, დავით დარჩიაშვილს, რომელმაც მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია, განსაკუთრებით თეორიული ჩარჩოს შერჩევისა და ლიტერატურის მოძიების კუთხით.